პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 31

20 20 წ. "27" 02

ქ.თბილისი

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის N26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის N26 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ:206155328) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL – H) Aircraft flight exploitation (CPL – H) (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში 1041	59	59	ინგლისური	25	ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. N16
2	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B 1.1 & B 2) Aircraft maintenance (B 1.1 & B 2) (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში 0716	B 1.1 127.5 B 2 121.5	B 1.1 127.5 B 2 121.5	ინგლისური	90	ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. N16

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 27 თებერვალი.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 27 თებერვლის №3 სხდომის ოქმის მეთერთმეტე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ნანა ყუფუნია

სხდომის მდივანი
შორენა ჯაფარიძე